



27 აპრილი, 2010 წ.

**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოების“ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია
მთელს საქართველოს დაფარავს**

პრეს რელიზი

2010 წლის, 28 აპრილიდან 9 მაისის ჩათვლით, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ განახორციელებს ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიას, ავტო-ტურების ორგანიზების მეშვეობით.

„სამართლიანი არჩევნების“ მოხალისეები და აქტივისტები იმოგზაურებენ საქართველოს მასშტაბით და ქვეყნის 73 საარჩევნო ოლქში ჩაატარებენ ავტო-ტურების შეხვედრებს. შეხვედრებზე ორგანიზაციის მოხალისეები ადგილობრივ მოსახლეობას აუხსნიან 2010 წლის, 30 მაისის არჩევნების მნიშვნელობას; დეტალურად გააცნობენ საარჩევნო პროცედურებს; ამომრჩეველთა მხრიდან ამომრჩეველთა სიებში თავის გადამოწმების პროცედურებსა და ვადებს; და მოაწყობენ კენჭისყრის დღის სიმულაციას როლური თამაშების მეშვეობით. როლურ თამაშებში მოხალისეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომელთაც საშუალება მიეცემათ თავად გაიარონ ყველა ის პროცედურა, რაც 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვისაა საჭირო.

ავტო-ტურებზე „სამართლიანი არჩევნების“ მოხალისეები გაავრცელებენ არჩევნებთან დაკავშირებულ საინფორმაციო მასალებს. შეხვედრების დასრულების შემდეგ კი, ისინი დააჯილდოვებენ ყველაზე აქტიურ მოქალაქეებს.

ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია ხორციელდება პროექტის - „დიალოგისა და უნარჩვევების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (+995 32) 37 22 13
ფაქსი: (+995 32) 98 39 98

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge